საკონტაქტო ინფორმაცია:

მტირალას ეროვნული პარკი
ტელ: (+995) 577 10 18 89

მაჭახელას ეროვნული პარკი
ტელ: (+995) 595 08 60 75

„მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“
“MTIRALA AND MACHAKHELA PROTECTED AREAS FRIENDS ASSOCIATION”
მის: ქ. ბათუმის, ფარნავაზ მეფის ქუჩა #79
Facebook გვერდი Mtirala and Machakhela Protected Areas Friends Asociation

საველე გზამკვლევი

მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკის ნორჩი რეინჯერებისთვის

MMPAFA
მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

ბათუმი, 2017 წელი

გზამკვლევი მომზადებულია „მტირალასა და მაჭახელას დაცული ტერიტორიების „მეგობართა ასოციაციის“ მიერ გაეროს განვითარების პროგრამის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ პროექტის ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური მხარდაჭერით.
გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამის და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის თვალსაზრისს.

ქოქოლეთის ბილიკი

(შესასვლელი სოფელ ქვედა ქოქოლეთიდან)

- ❖ ტიპი - საფეხმავლო სამანქანოსთან ადაპტირებული
- ❖ პერიოდი - მაისი - ოქტომბერი
- ❖ სიგრძე - 15 კმ (9 კმ სამანქანე და 6 კმ საფეხმავლო გადმოსახედ ადგილამდე)
- ❖ ხანგრძლივობა - 1 დღე
- ❖ სირთულე - მარტივი
- ❖ სიმაღლე - 1272 მ .ზღ. დ. (ყველაზე მაღალი წერტილი)

სარჩევი:

- ➢ საქართველოს დაცული ტერიტორიები 4-5
- ➢ პირობითი აღნიშვნები ვიზიტორთათვის დაცულ ტერიტორიებზე 6
- ➢ მტირალას ეროვნული პარკი 7
- ➢ ფლორა 8
- ➢ ფაუნა 8
- ➢ ტურისტული ტურები 9
- ➢ ტურისტული ინფრასტრუქტურა 9-10
- ➢ ფრინველთა დაკვირვება 11
- ➢ ტურისტული ბილიკები 12
- ➢ ექსტრემალური სერვისები 13
- ➢ ბუნების ნობათი 13
- ➢ მაჭახელას ეროვნული პარკი 14
- ➢ ფლორა 15
- ➢ ფაუნა 15
- ➢ ტურისტული ბილიკები 16-18

საქართველოს დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში ემსახურება თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნებას, ადამიანის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის პირობების დაცვას და საზოგადოების ცივილიზებული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძვლების შექმნას. დაცული ტერიტორიები საქართველოში იქმნება უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის – უნიკალური, იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგან-მანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განვითარების მიზნით გამოყენების უზრუნველსაყოფად. დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 520,811 ათას ჰექტარს, რაც ქვეყნის ტერიტორიის 8,6%-ია.

ეროვნული პარკი ზოგადად იქმნება ეროვნული და საერთა-შორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული პარკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციაში. ამჟამად, საქართველოში 11 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი 349327,1 ათას ჰა-ს შეადგენს. ასევე, 14 სახელმწიფო ნაკრძალი; 19 აღკვეთილი; 42 ბუნების ძეგლი; 2 დაცული ლანდშაფტი.

ტყუპი ჩანჩქერის ბილიკი

(შესასვლელი სოფ. ზედა ქოქოლეთიდან (იალიკარი))

- ❖ ტიპი - საფეხმავლო სამანქანოსთან ადაპტირებული
- ❖ პერიოდი - მაისი - ოქტომბერი
- ❖ სიგრძე - 11.7 კმ (11 კმ სამანქანე და 700 მეტრი საფეხმავლო)
- ❖ ხანგრძლივობა - 1 დღე
- ❖ სირთულე - მარტივი



ტურისტული ბილიკები

მთავარ ანგელოზის ბილიკი
(შესასვლელი სოფ.სინდიეთიდან, ასევე სოფ.აჭარისაღმართიდან)

- ❖ ტიპი - საფეხმავლო სამანქანოსთან ადაპტირებული
- ❖ პერიოდი - მაისი - ოქტომბერი
- ❖ სიგრძე - 9.1 კმ (5 კმ სამანქანე და 4.1 კმ საფეხმავლო)
- ❖ ხანგრძლივობა - 1 დღე
- ❖ სირთულე - მარტივი
- ❖ სიმაღლე - 985 მ ზღ. დ. (ყველაზე მაღალი წერტილი)

ბილიკი გზად გაივლის წიფლისა და წაბლნარი ტყის მასივებს, მთის ნაკადულებს, წყაროებს, ძველ ნამოსახლარებსა და მურყანის ხეივანს და გადის მთავარანგელოზის მთასთან, რომლის მწვერვალიდანაც იშლება ქალაქი ბათუმის, მაჭახელას ეროვნული პარკისა და მდინარე ჭოროხის ხეობის ულამაზესი ხედები.



სპეციალური დასვენების ტერიტორიები



პირობითი აღნიშვნები ვიზიტორთათვის დაცულ ტერიტორიებზე

აკრძალულია

- ცეცხლის დანთება
- შინაური ცხოველები
- ხის ჭრა
- თამბაქოს მოწევა
- ნადირობა
- მოტორიანი ტრანსპორტით გადაადგილება

დაშვებულია

- საცხენოსნო მარშუტი
- ფრინველებზე დაკვირვება
- საფეხმავლო მარშუტი
- საკემპინგო
- საპიკნიკე
- ნაგვის ჩასაგდები ადგილი



ფლორა

პარკის ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს უნიკალურ რელიქტურ მცენარეთა სახეობები, რომლებიც „საქართველოს წითელ ნუსხაშია“ შეტანილი, ესენია: კოლხური ბზა, წაბლი, კოლხური თხილი, ქართული კაკალი, უნგერნის შქერი, უთხოვარი, თელა.

კოლხური ბზა

უნგერნის შქერი

უთხოვარი

ფაუნა

მაჭახელას ეროვნულ პარკში გვხვდება შემდეგი სახეობის ცხოველები: შველი, კვერნა, მგელი, ტურა, მაჩვი, ციყვი, გარეული ღორი, ხოლო საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული შემდეგი სახეობის ცხოველები: მურა დათვი, არჩვი, ფოცხვერი.



შველი

ტურა

მურა დათვი

გარეული ღორი

მაჭახელას ეროვნული პარკი

მაჭახელას ეროვნული პარკი შეიქმნა 2012 წელს. მისი ფართობის (7333 ჰა) 95% ტყით არის დაფარული. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან არის 330მ, ყველაზე მაღალი ადგილი ზ.ღ.დ 2151 2 მ-ს აღწევს.

შექმნის მიზანი:

- ❖ უნიკალური ბიოლოგიური და ლანდშაფტური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
- ❖ კოლხური ტყეების ეკოსისტემის გრძელვადიანი დაცვა;
- ❖ ეკოლოგიური უსაფრთხოება;
- ❖ ბუნებრივ გარემოში ტურისტული და რეკრეაციული საქმიანობის განვითარება.

პარკის ტერიტორია დაყოფილია 3 ზონად

- ❖ ბუნების მკაცრი დაცვის ზონა;
- ❖ ბუნების მართვადი დაცვის ზონა;
- ❖ ტრადიციული გამოყენების ზონა.



მტირალას ეროვნული პარკი

მტირალას ეროვნული პარკი დაარსდა 2007 წლის 27 ივნისს, დაარსების მთავარი მიზნებია, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ეკო-ტურიზმის განვითარება; მთა მტირალას სიმაღლე 1381 მ.ზ.დ. იგი ყველაზე უხვნალექიანი ადგილია საქართველოში, წლიური ნალექიანობა აღემატება 4520 მმ-ს, პარკის ტერიტორია შეადგენს 7,333 ჰა-ს.

პარკი გაყოფილია 3 ძირითად ზონად,მკაცრი დაცვის ზონა-15,7% ; ვიზიტორთა ზონა-51,4; ტრადიციული გამოყენების ზონა 32,9%



ფლორა

პარკის ტერიტორია რელიქტურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება, მტირალას ეროვნულ პარკში გავრცელებულია მცენარეთა 593 სახეობა - 28 სახეობის ხე და 35 ბუჩქი, 76 სახეობა რელიქტურია (რომელიც წარმოადგენს შორეული წარსულის ძველი ეპოქის გადმონაშთს), ხოლო 66 - ენდემურია.

უთხოვარი

პონტოს შქერი

იელი

პონტოს მუხა

ფაუნა

მტირალას ეროვნულ პარკში ბინადრობს ფაუნის 275 სახეობა. აქედან 71 ძუძუმწოვარია, 10 ამფიბია, 22 რეპტილია, 17 თევზი, 34 უხერხემლო, ხოლო მათ შორის 66 სახეობა „საქართველოს წითელ ნუსხაშია“ შეტანილი.



ციყვი

წავი

მელია

მურა დათვი

ექსტრემალური სერვისები
(სოფ.ჩაქვისთავი წაბლნარის ბილიკზე)

- კანიონინგი
- ზიპ-ლაინი - ბაგირზე დაშვება

„ბუნების ნობათი“
(დაბა ჩაქვი)



ტურისტული ბილიკები

წაბლნარის ბილიკი (შესასვლელი სოფ. ჩაქვისთავიდან)

- ტიპი -საფეხმავლო
- პერიოდი– მაისი–ოქტომბერი
- სიგრძე – *7* კმ.
- ხანგრძლივობა – *1* დღე
- სირთულე - მარტივი





ცივწყაროს ბილიკი

(შესავლელი სოფ.ჩაქვისთავიდან)

- ტიპი -საფეხმავლო
- პერიოდი– ივნისი–სექტემბერი
- სიგრძე – *15* კმ.
- ხანგრძლივობა – *2* დღე
- სირთულე - საშუალო



ტურისტული ტურები

ტურისტული ინფრასტრუქტურა

რეინჯერთა საგუშაგო და საპიკნიკე ადგილი მდებარეობს სოფელი ხალიდან ეროვნული პარკის შესასვლელთან

ვიზიტორთა ცენტრი (სოფ. ჩაქვისთავი)

- საგამოფენო დარბაზი
- სასტუმროს ნომრები– 4 (2–ადგილიანი)
- სამზარეულო
- სველი წერტილი
- გადახურული ტერასა

ტურისტული თავშესაფარი (მტირალას ეროვნული პარკის ცივწყაროს ბილიკზე)

- ოთახების რ–ბა: 2 (8 ადამიანი)
- სამზარეულო
- სველი წერტილი

აჭარა მსოფლიოში ფრინველთა მიგრაციის ერთ-ერთ უდიდეს კორიდორად ითვლება



გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების კოშკურა (სოფელი ყოროლისთავიდან ეროვნული პარკის შესასვლელი)